ავტორი/ ები: თეკლა ნემანიშვილი, მაია მესტვირიშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი

პოზიცია/ები (ასისტენტი, ასოცირებული, სრული პროფესორი): სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, ასოცირებული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი

მიმართულება: პირონების და კლინიკური ფსიქოლოგია

რუბრიკა/სექცია: ფსიქოლოგია , ემპირიული კვლევები ფსიქოლოგიაში

პიროვნული ნიშნები და „ფეისბუკზე“ თვითპრეზენტაციის ტაქტიკები

მოცემული კვლევის მიზანი იყო პიროვნების ავერსიული მახასიათებლებისა და პიროვნების ექვსფაქტორიანი მოდელის მიმართების კვლევა სოციალურ ქსელში თვითპრეზენტაციის ტაქტიკებთან. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 230-მა ინდივიდმა (144 ქალი; M (age) = 20.0, SD=1.63). გამოყენებულ იქნა შემდეგი საკვლევი ინსტრუმენტები: (1) ბნელი ტრიადის ნიშნების შესაფასებელი მოკლე კითხვარი (SD3) (Jones& Paulhus, 2011); 2) პიროვნული ნიშნების ექვსფაქტორიანი მოდელის საკვლევი ინსტრუმენტი (HEXACO-PI-R) (Lee & Ashton, 2004); (3) ფეისბუკით სარგებლობის მოტივების საკვლევი სკალა (Sheldon, 2008); (4) თვითპრეზენტაციის სტრატეგიების საკვლევი კითხვარი (Lee et al,1998), რომელიც კვლევის ფარგლებში მოდიფიცირდა ფეისბუკისთვის. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ნარცისიზმი პოზიტიურ კავშირშია ფეისბუკზე მეგობრების რაოდენობასა და ექსტრავერსიასთან. მაკიაველიანიზმი პოზიტიურად კორელირებს თვითპრეზენტაციის როგორც ასერტულ, ისე თავდაცვით ტაქტიკებთან. ხოლო ნარცისისზმი და ფსიქოპათია ძირითადად ასერტულ თვითპრეზენტაციის ტაქტიკებთან. პიროვნების ექვსფაქტორიანი მოდელის პატიოსნება-თავმდაბლობის ფაქტორი უარყოფითად კორელირებს ბნელი ტრიადის სამივე ცვლადთან. ასევე, ნარცისიზმის მაღალი მაჩვენებლების მქონე ინდივიდებისთვის ფეისბუკის გამოყენების მთავარი მოტივი „მაგარი ტიპობა“ აღმოჩნდა. პიროვნების

ექვსფაქტორიანი მოდელის ნიშნები მოდერაციულ როლს ასრულებენ ბნელი ტრიადის ცვლადებსა და თვითპრეზენტაციის ტაქტიკებს შორის.

საკვანძო სიტყვები: „ფეისბუკი“, თვითპრეზენტაციის ტაქტიკები, HEXACO, ბნელი ტრიადა